გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

# ბორჯომი

26 მაისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№21 (9231)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

## საქართველოს ეროვნული დღესასწაული




**საქართველოს** დამოუკიდებლობის დღე საქართველოს ეროვნული დღესასწაულია, რომელსაც ყოველწლიურად 26 მაისს, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების ნიშნად აღვნიშნავთ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ისგან საქართველო ოფიციალურად 1991 წლის 9 აპრილს გათავისუფლდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ამ წელს თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და ევროპული ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიული სისტემა შეიქმნა: - „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ - ნათქვამია მნიშვნელოვან დოკუმენტში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ - მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა - განაპირობა.

## ეროვნული სამოსის დღე

**ბორჯომის** კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ეროვნული სამოსით მსვლელობა გამართეს. ამის შესახებ ინფორმაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ფეხით მსვლელობის დასრულების შემდეგ, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **იოსებ რაზმაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.



## სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო



**ბაკურიანის** რეკრეაციულ პარკში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ფარგლებში სრულად განახლდება პარკის ინფრასტრუქტურა, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, სათამაშო მოედნები, ტურისტული ზონები. პარკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრაქციას წარმოადგენს საფეხმავლო რამპა, რომლის მეშვეობითაც მოხდება კავშირი ქვედა და ზედა ზონებს შორის. ასევე, სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეებით გამწვანდება პარკის ტერიტორია. დამონტაჟდება სკამები, გარე განათების ლამპიონები და ნაგვის ურნები.

ტერიტორიაზე მოეწყობა მცირე ზომის სწრაფი კვების ობიექტიები და ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთის მოედანი.

ბაკურიანის ცენტრალური პარკი სათხილამურო კურორტის ერთ-ერთ მთავარ რეკრეაციულ სივრცეს წარმოადგენს, რომლის რეაბილიტაციისთვის მუნიციპალური განვითარების ფონდმა 9 897 896 ლარი გამოყო.

**სოფელ** ყვიბისში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად რეჟიმში მიმდინარეობს.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **ზურაბ კორძაია.**

სოფელ ყვიბისში ე.წ დარბაიძეების, შუბითიძეების, ხაჩიძეებისა და ციცქიშვილების უბანში, ჯამში გზის ერთ კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგება. ასევე 400 მეტრზე სანიაღვრე არხი მოეწყობა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 459 001 ლარია გამოყოფილი



## წარმატებულ მომავალს გისურვებთ!

### ბესიკ ამირანაშვილი

სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში



გილოცავთ თქვენი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას - სკოლის დასრულებას, ბოლო ზარს სკოლაში.

ჩვენი რეგიონის ახალგაზრდები ღირსეულად პასუხობენ ყველა თანამედროვე გამოწვევებს, წარმატებებს გისურვებთ ერთიან ეროვნულ გამოცდებში, პროფესიულ წინსვლას ცხოვრების ყველა ეტაპზე, თქვენი მიზნებისა და ოცნებების ასრულებას.

ქვეყანასა და ჩვენს რეგიონს სჭირდება თითოეული თქვენთაგანი თქვენი შესაძლებლობებით და გისურვებთ ამ შესაძლებლობების რეალიზებას.

### ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი



ძვირფასო მეთორმეტეკლასელებო, ჩემო პატარა მეგობრებო!

გილოცავთ სკოლის დამთავრებას, ცხოვრების დიდ და საინტერესო ასპარეზზე გასვლას, რაც უდიდესი მოვლენაა თითოეული თქვენგანისათვის. თქვენ დიდი ძალა ხართ, ჩვენი ქვეყნის იმედი. თქვენი იარაღი განათლებაა და მჯერა, ამ ცოდნის გამოყენებით შეძლებთ საქართველოს წინსვლას და განვითარებას.

### დამშვიდობება სკოლასთან

სკოლის ბოლო ზარი დაირეკა ბორჯომის მუნიციპალიტეტის 297 მეთორმეტე კლასელებისათვის.

გილოცავთ დამოუკიდებელი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლას. გისურვებთ წარმატებულ, საინტერესო მომავალს, მიზნებისა და ოცნებების განხორციელებას ქვეყნის და თქვენი ოჯახების სასიკეთოდ. გვეიმედებით და გვეამაყებით.

**ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი**

## ტრაგედია, რომელიც არ უნდა განმეორდეს

## ბოლო ზარი სევდიანად დაირეკა



ავტოსაგზაო შემთხვევა ბორჯომში, 20 მაისს, სოფელ ლარებთან მოხდა. მსუბუქი ავტომობილი მდინარე მტკვარში გადავარდა. ავტომანქანაში ოთხი ახალგაზრდა იმყოფებოდა. მათგან მეთორმეტეკლასელი **ლუკა ლეკიაშვილი** ადგილზე გარდაიცვალა. სამი დაშავებული კი ბორჯომის სამედიცინო ცენტრში იყო მოთავსებული.

შვილის გარდაცვალების სიმწარეს ანალოგი არ აქვს ამ მზისქვეშეთში...

ეს დღეებია შეძრა და გააქვავა ბორჯომი სასტიკმა ტრაგედიამ... არავინ დაუტოვია გულგრილი... ყველა ტირის... ყველა გლოვობს... ბუნებაც კი... გულ-მუცელი გეწვის და ვერაფერს შველი, ვერ ცვლი რეალობას...

მისი წასვლით, მისეულ დატოვებულ სიცარიელეს უნდა ეჭიდაო მთელი დარჩენილი სიცოცხლე... მოგონებებით უნდა იკვებო და იარსებო... ისუნთქო მისით...

როგორი უძლური და უსუსური ხარ ამ დროს და მხოლოდ სურვილიღა სურვილად გრჩება, არცერთ დედას არ მოუკვდეს თავისი პირმშო..!!!

შინაგან საქმეთა მინისტრის **ვახტანგ გომელაურის** გადაწყვეტილებით მომხდარი ტრაგედიის გამო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბოლო ზარის კოლონას წინ პოლიციის ეკიპაჟი ჩაუდგება, რადგან თავიდან იქნას აცილებული ასეთი უბედური შემთხვევები.

ასევე შსს მოუწოდებს მშობლებს 18-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს არ მისცენ უფლება მარტო მართონ ავტომობილი, ასევე უახლოეს მომავალში მომზადდება ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც ის მძღოლი ვინც ახალგაზრდას მანქანის მართვის უფლებას მისცემს, დაჯარიმდება ან ჩამოერთმევა ავტომობილი.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია უსამძიმრებს ტრაგიკულად დაღუპულ ლუკას ოჯახს უდიდეს ტკივილსა და მწუხარებას.

## შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებთან



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები არასამთავრობო ორგანიზაცია „ბორჯომელები“-ს გამგეობის წევრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს პრობლემურ საკითხებზე და მათ გადაჭრის გზებზე.

ხელმძღვანელმა პირებმა საზოგადოების წარმომადგენლებს ქალაქის ურბანული განვითარების გეგმა გააცნეს. ასევე, ყურადღება გამახვილდა ინფრსატრუქტურულ, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

# ქალაქის გამწვანების თავისებურებანი

**რამდენიმე კვირის წინ ინტერნეტში მეტად არასასიამოვნო ინფორმაციას გავეცანით, სადაც არც თუ კორექტულად იყო ნათქვამი, რომ თურმე კურორტი ბორჯომი სერიოზულად დაამახინჯა ე.წ. „ორბიტის“ ხუთსართულიანი სახლის წინ ასწლოვანი მარადმწვანე ხე-მცენარეების მოჭრამ, რის გამოც ბორჯომმა დაკარგა „მწვანე ქალაქის სტატუსი. იმის ნაცვლად რომ ხეებს ვრგავდეთ, ქალაქის ბაღ-პარკებში, სკვერებსა და ტროტუარების გასწვრივ უმოწყალოდ იჩეხება ხე-მცენარეები“..**

**ქალაქის გამწვანების საკითხებზე ასეთი აბსურდული შეფასება საქმეში ჩაუხედავი ადამიანების ნააზრევია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხე-მცენარეების დარგვას ნამდვილად ესაჭიროება ცოდნა. ინფორმაციის გავრცელების ავტორს კარგი იქნებოდა, ეკითხა „ორბიტის“ სახლის მცხოვრებთათვის, თუ რამდენი წელია ითხოვდნენ იმ ხეების მოჭრას, რომელიც ბინებს სერიოზულად უბნელებდათ, მწერებს ებრძოდნენ და რაც მთავარია, სახლის საძირკველს სერიოზულად აზიანებდა ამ ხეების ფესვთა სისტემა. სპეციალურმა კომისიამ 3-4 სხდომა მიუძღვნა ამ ვეებერთელა ხეების მოჭრის საკითხის საფუძვლიან შესწავლას და მხოლოდ შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, მოეჭრათ ხეები და მის ნაცვლად სხვა მცენარეები ჩაენაცვლებინათ. „ვეებერთელა“ ხეები ქალაქის სხვა ადგილებშიცაა მოსაჭრელი.**

**რედაქცია დაუკავშირდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ბატონ ვაჟა გელაშვილს და სთხოვა, მკითხველისთვის გაეცნო ქალაქში არსებული ბაღ-პარკებში, სკვერებსა და ტროტუარების გასწვრივ დარგულ ხე-მცენარეების ავ-კარგიანობის მდგომარეობა.**



**დასახლებული** ადგილების, განსაკუთრებით ქალაქების გამწვანებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკოლოგიური ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით საკურორტო ზონის ქალაქებისათვის არის პრიორიტეტული სწორად შერჩეული სახეობებით განაშენიანება.

ქალაქ ბორჯომსა და ზოგადად მუნიციპალიტეტის დაბებისა და სოფლების ბაღ-პარკებსა და სკვერებში ასევე ქუჩების გაყოლებაზე უკანასკნელ ათეული წლის წინათ მრავალი დეკორატიული მერქნიანი სახეობა გაშენდა, რამაც კიდევ უფრო მიმზიდველი და შთამბეჭდავი გახადა ჩვენი ქალაქი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკურას, გლიცინიასა და იუდას ხის ერთდროული ყვავილობა, რაც განუმეორებელ ფერთა გამას ქმნის და ერთნაირად სასიამოვნოა, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლისათვის ასევე ტურისტებისათვის.

თანამედროვე მიდგომებით გასათვალისწინებელია, რომ ქალაქებში, განსაკუთრებით საცხოვრებელ სახლებთან ახლოს ტროტუარებზე არ უნდა იყოს გაშენებული ტყის შემქმნელი ისეთი სახეობები, რომლებიც პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან და სიმაღლით 40-60 მეტრს აღწევენ. ეს ხე-მცენარეები შესაბამისად ძლიერი ფესვთა სისტემას ივითარებენ და სერიოზულად აზიანებენ საცხოვრებელი სახლების საძირკველს, იწვევენ ტროტუარების დეფორმაციას, დაგებული ფილების აყრას, რაც ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო ყოველთვის არ არის.

ისევე როგორც, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში, ბორჯომშიც ვართ მსგავსი პრობლემის წინაშე. ცენტრალური ქუჩების გასწვრივ დაახლოებით 50 წლის წინ გაშენდა ჰიმალაის კედარი, რომელიც 50-60 მეტრი სიმაღლის ხედ ვითარდება. თავისი გაშლილი ვარჯით მას შეუძლია 15-20 მეტრის დიამეტრზე განვითარდეს, რაც თავისთავად როგორც სავალ ნაწილზე, სატვირთო მანქანებისა და დიდი ზომის ტურისტული ავტობუსების მოძრაობას უქმნის საფრთხეს, ასევე მის მახლობლად შენობა-ნაგებობებს უნგრევს საძირკველს. აღნიშნული მცენარეები შეიძლება ეტაპობრივად ჩანაცვლდეს ამპელური (მტირალა) სახეობებით და სხვა დეკორატიული წიწვოვანი თუ ფოთლოვანი დაბალმოზარდი ხეებითა და ბუჩქებით. მ.შ. კატალპა, ამპელური ლარიქსი, ამპელური იფანი და იაპონური სოფორა, აკაციის ბურთისებრი ფორმა, ოქროწვიმა, ლაგესტრემია, ფოტინია, წითელი ნეკერჩხალი, ჭნავი, ძახველი, მეჭეჭიანი არყი, ქორაფი, უთხოვარი, წყავი, შქერი, ჭყორი, ტუიას დეკორატიული ჯიშები საკურა, ღვია, წითელფოთლოვანი ტყემალი, ჩიტავაშლა. ფანჩატურების მოსაწყობად გამოდგება ტეკომა, გლიცინია, კატაბარდა, ხვიარა ვარდები, ჩვეულებრივი და ხვიარა სუროები, უეკლო მაყვალი.

საბორდიულედ გამოდგება იაპონური და ჩვეულებრივი კვიდოები, ბიოტა, გრაკლა. გართხმული ფორმებიდან ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფებად შეიძლება გაშენდეს გართხმული ღვია და გართხმული ჩიტავაშლა. ცალკეული კომპოზიციები შეიძლება შეიქმნას ჭანჭყატის სამივე ფორმით ასევე აუკუბას მწვანე და ჭრელფოთლიანი ინდივიდებით.

ერთწლიანი ყვავილოვანი მცენარეები ბოლო წლებში სწორად არის შერჩეული და დაჯგუფებული ფერთა გამის გასამრავალფეროვნებლად შეიძლება დაემატოს სხვადასხვა ფერის ირეზინე და ბოლქვიანი ბეგონიები.

**ვაჟა გელაშვილი,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**

**რედაქტორის მინაწერი: დიდი მადლობა ბატონ ვაჟას, შესანიშნავი წერილისათვის, მის მიერ ჩამოთვლილი მცენარეების გაშენებით ქალაქი ნამდვილად დამშვენდება, მაგრამ კურორტზე მწვანე ნარგავების გაშენების საქმეში სხვა სერიოზული ხარვეზებიცაა.**

**ათეული წლის წინ ბაღ-პარკებში, სკვერებში და ტროტუარების გასწვრივ ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე დაირგო ხე-მცენარეები, ძირითადად წიწვოვანები, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა მოსახლეობას. ბევრგან დაცული არაა ინტერვალი, რის გამოც ხე-მცენარეები, ერთმანეთს უშლიან ზრდა-განვითარებას. ტროტუარების გასწვრივ სკვერებში, გამოსახშირი და გადასაბელია ხე-მცენარეები, ჩარხიწყლის ხიდიდან სილამაზის ხიდამდე, დაახლოებით 200 ძირი ხე მცენარეა დასარგავი. მოსაჭრელია მდინარის კალაპოტებში არსებული ხე-ბუჩქები, თუნდაც დეფორმაციული ხე-ბუჩქების გამოხშირვას და სხვა საკითხებს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.**

**კურორტის მწვანე საფარის განაშენიანებას ესაჭიროება კვალიფიციური დენდროლოგი, არქიტექტორ-დიზაინერი, რომლებიც იზრუნებენ მეცნიერულად დასაბუთებული ხე-მცენარეების დარგვა-გახარებისათვის და მშრომელთა ესთეტიურ სრულყოფაში წვლილის შეტანისათვის.**

# მადლიერების სიგელები გამარჯვებულებს



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ** კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სპორტული ცეკვების ჯგუფი ანის აკადემიის პედაგოგი და ჯგუფის წევრები, მადლიერების სიგელით და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს.

საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი, სადაც ანის აკადემიის მოსწავლეებმა: **ელენე ცინცაძემ, თამარ შონიამ, ნინი ქიმაძემ და მარიამ ყველიაშვილმა** საპრიზო ადგილები დაიკავეს.

# მაღაზია ,,ნატალი“ ბედნიერების სამსახურში



**ქალაქ ბორჯომში,** რუსთაველის ქუჩა №77-ში, სახანძროს შენობიდან სულ რამდენიმე მეტრში ყვავილების მაღაზია **,,ნატალი“** მდებარეობს. მაღაზიის მეპატრონე, ახალგაზრდა მშვენიერი ქალბატონი **ნატალია კურტანიძე** გახლავთ. რომელიც ყოველთვის თავისი ხელით ურჩევს მომხმარებლებს ყვავილებს, ეს იქნება სადღესასწაულო თუ სარიტუალო თაიგულები, ოთახისა თუ ეზოს ყვავილები, თვითონვე აძლევს რეკომენდაციებსა და მცენარეების მოვლის ინსტრუქციებს. მომხმარებლებს აქ შეუძლიათ შეიძინონ ყვავილებისათვის საჭირო მიწა, შხამ-ქიმიკატები, სასუქი ნივთიერებები და ა.შ.

აქ შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც მარადმწვანე, მრავალწლიანი მცენარეები, ასევე ყინვაგამძლე ვარდები, ტუიები, აიკუბები, ბზები, ბროწეულები. უკვე მეორე წელია ეზოსა და ოთახის მცენარეებთან ერთად მსურველებს შეუძლიათ სხვადასხვა ბოსტნეულის ნერგებიც შეიძინონ. მაგალითად როგორიცაა: პომიდორი, კიტრი, წიწაკა (ბულგარული). ზამთრის პერიოდში ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, აღნიშნული მაღაზიაც ყვავილებით ძირითადად საზღავრგარეთიდან მარაგდება და ფასიც სწორედ აქედან გამომდინარეობს, თუმცა როგორც ნატალიამ გვითხრა, მაისიდან უკვე თბილისის სასათბურე მეურნეობიდან ხდება ძირითადად მომარაგება, ფასიც, რა თქმა უნდა, ზამთართან შედარებით საგრძნობლად ნაკლებია. ვარდიც, მიხაკიც და ასტრუმერიაც თითქმის განახევრებულ ფასად შეგიძლიათ შეიძინოთ. ყვავილებით მომარაგება ყოველ მესამე დღეს ხდება. სიცხის მიუხედავად, მაშინ, როდესაც მცენარე მალე შეიძლება დაჭკნეს, მას განსაკუთებული პირობები სჭირდება, ამისთვის აქ კი ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი. მნიშვნელოვანია, რომ მცენარეებზე ყოველკვირეულად აქვთ ფასდაკლების აქციები. ამ ეტაპზე მაღაზიაში მომხმარებლებს ყვავილებისათვის ყველა საჭირო და აუცილებელ ატრიბუტებთან ერთად (ეს იქნება დეკორატიული გასაფორმებელი მასალები თუ მუყაოს ყუთები), თავაზობენ სუნამოებსა და თავის მოვლის სხვადასხვა საშუალებებს. მნიშვნელოვანია, რომ ბორჯომის გარდა მაღაზია აქტიურად ამარაგებს ბაკურიანის მოსახლეობასაც და რაც ყველაზე მთავარია, მოქმედებს ადგილზე მიტანის სერვისიც, რაც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, რომ დღის ნებისმიერ დროს ის საკუთარ შეკვეთას ადგილიდან გაუსვლელად მიიღებს. სამომავლოდ ქალბატონი ნატალია აპირებს, რომ მაღაზიაში დამატებითი სასაჩუქრე სუვენირებიც დაამატოს, რათა მომხმარებელს კიდევ უფრო მეტი არჩევანის საშუალება ჰქონდეს, რაც დროის უფრო მეტად დაზოგვის საშუალება იქნება მომხმარებლისათვის, რადგანაც ის ყვავილებთან ერთად უკვე ადგილზევე შეძლებს მისთვის სასურველი პროდუქტის შეძენას.

**ნატო მელიქიძე**

# „მართას პური“ რველიდან

**რამდენიმე თვეა ბორჯომის სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში მომხმარებლები განსხვავებული ფორმისა და გემოს მქონე მართას პურს, რველიდან აგემოვნებენ. ჩვენ დავინტერესდით ვინ ამზადებდა და როგორ პირობებში ცხვებოდა გამორჩეული, ახალი და უცხო პური „ბაგეტი“ სეზამის მარცვლებით, ბატონი, დიდი და პატარა ბატონი, ცეხვილი, კახური შოთი, ნივრის, წიწიბურის, დიაბეტური, შებოლილი, რუხი და უსაფუარო პური.**

**100 პროცენტი ქართული ხორბლისგან, შეშაზე დამზადებულ პროდუქტს ამჟერად 4 ქალბატონი ირმა (ახალკაცი) სტეფნაძე, მაყვალა გელაშვილი, მერი სტეფნაძე, ლია კოპაძე ამზადებს. მათთვის სამუშაო დღე დილის 5 საათზე იწყება და შეკვეთების შემთხვევაში გვიან ღამით სრულდება. ულამაზესი ხედის ფონზე საცხობში 80-მდე პურის დაცხობაა შესაძლებელი.**

– **რუხი პურის** ხორბალს ჩვენ თვითონ ვფქვავთ და ხორბლის მოსავალსაც ველოდებით. საფრანგეთიდან ნათესავებისგან ვიღებთ რჩევებს. ლალი მესხი კი დაგვეხმარა ხორბლის დათესვაში და მისგანვე მივიღეთ რჩევა წითელი დოლის ხორბლის მოყვანასთან დაკავშირებით. ასე ძველი ქართული ხორბლის წითელი დოლი დავთესეთ ხაშურის მინდვრებზე.

– პური ბაგეტი 1920 წელიდან არსებობს და ნიშნავს ჯოხს. იგი გრძელი, საკმაოდ თხელი ფრანგული პურია. ბაგეტი ძირითადად მზადდება სპეციალური ცომით, რომელიც შედარებით ნაკლები რაოდენობით ცხიმსა და შაქარს შეიცავს. ის გამოირჩევა სიგრძით და უგემრიელესი ქერქით.

სწორედ გოგა მელიქძისა და მარიამ სტეფნაძის გოგონას, ქალბატონი ირმას ყველაზე უმცროსი შვილიშვილის სახელს უკავშირდება „მართას პურის“ სახელი. პატარა მართა ჩვენი სტუმრობისას ფოტოკადრშიც მოხვდა და მისი სახელობის პურს გემრიელად მიირთმევდა.

– ყოველთვის მაინტერესებდა პურის ცხობის ხელოვნება, სამზარეულო. დიდი სურვილი მქონდა, მქონოდა თონე, საცხობი და გამომეცხო სხვადასხვა სახეობის პური, რომელსაც არა მხოლოდ ოჯახის წევრებს შევთავაზებდით, არამედ საზოგადოებასაც.

ხანგრძლივი დრო და დამუშავება სჭირდება ასეთი პურის მომზადებას, განსაკუთრებით დიაბეტურ, უსაფუარო პურს. პროცესი ძალიან შრომატევადია. ჩვენ ყოველგვარი დანამატების გარეშე გვსურს მოვამზადოთ ,,მართას პური“. ყოველ ჯერზე საუკეთესო მინდა გამოვიდეს. პირველად ოჯახის წევრებმა დავაგემოვნეთ. უსაფუარო პური ტრადიციულად ვგეგმავთ, რომ დავამზადოთ სხვადასხვა ხილის წვენით. მე პირადად ბადაგზე დამზადებულ პურს გამოვარჩევდი. ახლა გვაქვს ვაშლის წვენზე დამზადებული უსაფუარო პური. მომზადების წესებს ვეცნობი წიგნებიდან, ხანდახან ინტერნეტიდან, ქრაუნ პლაზაში მუშაობაც მაინტერესებდა და ამ ინტერესმა შედეგი გამოიღო კიდეც.

პური სტანდარტულისგან გამორჩეული განსხვავებული ფორმის მსურდა. ვინც ჩვენი პური დააგემოვნა მეუბნება, რომ გამოარჩევენ გემოთი, ფორმით და ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო, – გვითხრა ქალბატონმა ირმამ.

აღსანიშნავია, რომ ,,მართას პურმა“ რე-



ალიზაციამდე ლაბორატორიული შემოწმებაც გაიარა.

– ეს მნიშვნელოვანი ნაწილია საზოგადოებისთვის და ჩვენთვის. ჯანსაღი და გამჭირვალე საქმის კეთება მარტივიც არ არის, თუნდაც ხორბლის თესვა. იგი დამოკიდებულია ამინდზე, დამოკიდებულია მიწის ნაკვეთის ანალიზზე, სინჯი უნდა აიღო და გაიგო, რამდენად მოსავლიანია ხორბლისთვის და ა.შ. ეს შევისწავლეთ, შემოდგომით დავთესეთ კიდეც და ზაფხულის ბოლოს ველოდებით დაახლოებით 12, 13 ტონა ხორბლის მოსავალს, ვაპირებთ გადათესვას და სამომავლოდ გვსურს სრულად ჩვენი ხორბლით იყოს დატვირთული ჩვენი საცხობები, – აღნიშნა საუბრისას **გოგა მელიქძემ.**

პარალელურად გეგმავენ ,,მართას პური“ გამოჩნდეს ქსელურ მარკეტებსა და სასტუმროებში, განავითარონ მასტერკლასები როგორც ადგილობრივებისათვის, ასევე ტურისტებისთვის, აჩვენონ თუ როგორ აცხობენ ქართულ პურს და მათი მთავარი მიზანია, მეტი გამჭირვალობა და მაქსიმალური შედეგი.

მართას საცხობში შეკვეთებსაც იღებენ და ამზადებენ ფუნთუშებს სეზამის მარცვლებითა და ჯემით, იმერულ და მეგრულ ხაჭაპურებს, პიცას, ლობიანს, აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ და დააგემოვნოთ ჩაიზე შოთის და ფუნთუშების უგემრიელესი ორცხობილა.

სამომავლოდ დიდია მესხური ფურნის სურვილი ფესვებით მესხეთიდან მქონე 7 შვილიშვილის ბებიისთვის.

**იზა იანვარაშვილი**

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი   გ ვ ე რ დ ი

**რედაქციის ვეტერანმა თანამშრომელმა *უჩანგი ჯანგირაშვილმა (უჩა არაგვისპირელ-გოგოლაურმა)* ტრადიციად აქცია, – თავის დაბადების თვეს და თარიღს (21 მაისს) ახალი ლექსებით შეეგებოს. ტრადიცია არც ამჯერად, დაბადების 72-ე წლისთავზე დაურღვევია.**
**გთავაზობთ მის ახალ ლექსებს, რომელთაგან ზოგიერთი „ლიტერატურულ მესხეთში“ დაიბეჭდა.**

## საპარლამენტო ნატვრა

**ისეთებით, ვინც ოდესმე**
**სხვისთვის ცეცხლში მდგარიყოს,**
**შევავსებდი ჩვენს პარლამენტს,**
**ჩემი ნება რომ იყოს!**

**ჩემი რა მოსატანია,**
**უფლის ნებამცა იყოს!**

**სახელმწიფოს ჯიბის მცლელებს,**
**ყველამ კარგად გამიგოს, –**
**სულ კინწისკვრით გამოვყრიდი,**
**ჩემი ნება რომ იყოს!**

**ჩემი რა მოსატანია,**
**უფლის ნებამცა იყოს!**

**ვნატრობ, ჩვენს დიდ საფიხვნოში**
**ტაძრის შუქი მდგარიყოს,**
**ქვეყნის ბედზე ფიქრი, განსჯა**
**სიბრძნის ტბად დამდგარიყოს!**
**ჩხუბი და აყალმაყალი**
**არასოდეს არ იყოს!**

**ჩემი არა, მხოლოდ უფლის,**
**უფლის ნებამცა იყოს!**

## დედაშვილობა სულ სხვაა

ჰაერში - პეპლების ლაშქარი,
მიწაზე - ჭიანჭველის ჯარი;
წყალში - თევზების ამქარი,
ტყე-ველად - პირუტყვის კვალი;
სადღაც შორს - ფრინველთა ბაზარი,
აქ მრავლად: კაცი და ქალი;
-ფუთფუთებს დედამიწა, მაშვრალი,
ხმელეთს ეხეთქება წყალი;
საქსაფონივით ალერსობს
დილა-საღამოს ქნარი,
ღრუბელი, წვიმა და თოვლი,
ნიავი, გრიგალი, ქარი;
ტრიალით მიცურავს კოსმოსში,
გზა კი უსასრულო არის!
მისი მეწყვილეა მთვარე,
ამბობენ: სიყვარულით მთვრალი...
ჩქეფს სიცოცხლე
წყვილები ხარობენ,
(თუმც არის სიკვდილი და დარდიც),
მაგრამ სულ სხვაა დედამიწაზე
დედაშვილობის მადლი...



## ჩემი ბიოგრაფია

**მე, მთის ლაღი ნაკადული, რომ დავეშვი თავქვე;**
**ნაპირებზე მაცილებდა ყვავილების მართვე;**
**შევუერთდი სხვა ნაკადულს, მერე კიდევ - სხვას;**
**ასე, გამდინარებული, მივაწლე ზღვას;**
**ჩავიკარგე თვალუწვდენელ ზღვაში, ანუ ხალხში,**
**მაგრამ ტალღების რწევაში დავრჩი ისევ ბავშვი!**
**დავრჩი ისევ ნაკადულად, წლებს სილაღეს ვართმევ,**
**ძველებურად მიმაცილებს ყვავილების მართვე...**

## ერთიანად მაგნიტი ხარ

მაგნიტები - ტუჩებში,
მაგნიტები - თმებში;
მაგნიტები - თვალებში,
მაგნიტები - მკერდში.
მაგნიტების ყელსაბამი
ბროლის ყელ-კისერში;
მაგნიტები, მაგნიტები
ყველგან, ყველაფერში!
ერთიანად მაგნიტი ხარ,
აბა, რა ვთქვა მეტი;
შენ - პლიუსი, მე - მინუსი,
მიზიდავ და... გეტრფი!

## ფული



თუმც „ხელის ჭუჭყია“,
მსოფლიოზე ბატონობს,
მისით ბედის შეცვლა გვსურს;
ფეხზე წამოდექით!
ქუდი მოვუხადოთ,
ქედი მოვუხაროთ ფულს!

## ცოდვიანი ნაფიქრალი

თითქოს მომწყინდა დილაც, საღამოც,
დრო-ჟამის სრბოლა, დარი, ავდარი;
ხან გაზაფხული, ხან - შემოდგომა,
ხან - ზაფხული და ხანაც - ზამთარი;
ეშმაკეულმა რად გამკრა ფიქრმა?
ო, მაპატიე, უფალო, გვედრი!
რა იქნებოდა ცვალებადობის
გარეშე ჩვენი ყოფა და ხვედრი?!
აცხონოს ღმერთმა პაპა გრიგოლი,
სიბერის ჟამს რომ იტყოდა ლოცვით:
„დავამძიმეო ეს დედამიწა
ჩემი აქ ყოფნით, ძვლებით და ხორცით!“..
მაშ, დაილოცოს კვლავ ყველაფერი,
ეს წეს-განრიგი, ქვეყნად რაც არი!
კვლავ - გაზაფხული, კვლავ - შემოდგომა,
ისევ - ზაფხული, ისევ - ზამთარი...

## ერთი კითხვა

**ერთ კითხვას გკადრებ, შეუცნობელო,**
**და ამისათვის, გთხოვ, არ შემომწყრე!**
**მოგმართავ, როგორც განსაცვიფრებელ**
**დიზაინერს და არსთა შემოქმედს!**
**ასე ვით ძერწე თიხა და მიწა,**
**ვით შეაწებე ატომს ატომი,**
**რომ ამ მშვენიერ ქალბატონს, ვფიცავ,**
**წინწკლიც არა აქვს არ მოსაწონი?(!)**

## გლეხი – ქალაქში

**(ირონია)**

მარტის წინ - გლეხი ქალაქში,
ხელში - ნაყიდი ბარიო;
- აი, - ვიფიქრე - ამ ქვეყნის
მამა და მარჩენალიო!
და არა - ზოგიერთები
ჰალსტუხიანი ბოსები;
წაქცეულ ქვეყნის მუცელზე
მიმსხდარი ძუძუს გოჭები!...

## სასტუმროში

გვერდით ნომერში შენ გძინავს დაღლილს,
სიზმრების ქარგებს ქარგავ მალულად;
მე კი, უძლები ქოფაკი ძაღლი,
შენს გვერდით ვწევარ... ვირტუალურად!
ამ ფიქრით ვბილწავ უმანკოებას
შენსას და... რატომ მაცდუნებ, ღმერთო!
თუმცა ეს ცეცხლი მიზიდულობის
განა შენგანვე არ შემომენთოო?
დამემშვიდობე ღიმილით ნაზით, -
ერთი კედელი გვყოფს, განა - მეტი; -
„ძილი ნებისა“-ც იყო ლამაზი,
შენსავით მწველი, შენსავით ბრენდი...
იქნებ არც გძინავს, შენც ჩემზე ფიქრობ,
ფიქრობ გრძნობით და ფიქრობ ქალურად;
ჩვენს შორის კედელს შენც ანგრევ, იქნებ,
და მე მეხვევი... ვირტუალურად?



## მოწოდება

**(სალაღობო)**



**იმ ქვეყნად ბევრი მყავს მეგობარი,**
**ათიოდე აგერაა ცოცხალი...**
**ცოცხლებო! გავიჭრეთ ბუნებაში,**
**დავკრიფოთ სოკო და მოცხარი;**
**წავიღოთ პური და ღვინო,**
**მტკვარში დაჭერილი ცოცხალი...**
**ლაღობით დავამარცხოთ სიკვდილი,**
**მერე ვიტრაბახოთ: „მოვკალით!“...**

## მეუღლეს

უსაქმურობას სულ მსაყვედურობ:
- არ ეძებ ვერცხლებს ბუჩქის ძირებში...
- რა ვქნა, სულ მინდა ზეცას ვუყურო! -
ყელმოღერებას მჩუქნის ირემი! -
სილაჟვარდეში ჩავიძირები...

კომბინაცია ჭადრაკის დაფის
და ქარიშხლები ბრძოლის ველების
ცხოვრების ველზე ვერ ვადაფდაფე,
ვერ გამოვაცხვე ბედის კვერები...
მაგრამ შენ მყევხარ, შენ გეფერები!

გულს დამიფოლქვავს ლექსების რემა,
მარტო დავრჩები ტკივილს წინაშე,...
ცაზე დაღლილი ცისკარი წვება...
და თუ ლამაზი სტრიქონი ჩნდება,
უსაქმურობას რატომ ეძახი?..

## მე ფუტკარი ვარ

მე ფუტკარი ვარ,
ოთახიდან გაღწევის მსურველი,
ფანჯრებისკენ ფრთებგაშლილი მივფრენ;
თითქოს გზა ხსნილია,
მაგრამ რაღაც ცივი
ფრთებს მიმსხვრევს და ძირს მცემს...
მინა უჩინარი, უხილავი მახეა,—
საწუთროს ჩაკეტილი სივრცე;
არც ფანჯრის გამღები,
არც დარდის წამლები,
არა ჩანს; — გამოჩნდეს ვინმე!
ნელ-ნელა ყვითლდება გაღმითა ფერდობი,
სიცოცხლის ხუნდება ფარჩა;
გამიღეთ ფანჯრები, მივფრინდე უფალთან,
როგორც ჩემს ნატრულა სკასთან!



## მზე ამობრწყინდა...

**მზე ამობრწყინდა დეკემბრის ცაზე,**
**დამზრალ ბუნებას ვატყობ მოლოდინს;**
**მე ჩემი მიკვირს, დარდებით სავსეს**
**რად მიხარია ამ დროს ყოველთვის?**
**მარტო მე არა, – მზის დანახვაზე**
**ცრემლად იღვრება სახლის ჟოლოფი!..**

## უცნაური „შეცოდება“

**ყოველდღიური გარჯა, ფუსფუსი,**
**არის ჯანსაღი ყოფის თვისება;**
**ნაგვის ყუთიც კი შემცოდებია,**
**უქმად რომ დგას და აღარ ივსება!..**

# დღეს რომ მიხეილ ჯავახიშვილი გვყავდეს...

**მიხეილ ჯავახიშვილის** ცხოვრება საკმაოდ ტრაგიკული იყო. დღეს რომ კლასიკოსთა რიგებში გვყავს და ვამაყობთ, ასეთ მწერალს ვათქმევინეთ ეს სიტყვები: **„თქვენ შეიძლება გაანადგუროთ ჩემი სხეული, მაგრამ თქვენ ვერ გაანადგურებთ ჩემ მიერ დაწერილ ლიტერატურას“.** მწერალს ბავშვობა თითქოს ლაღი ჰქონდა, მაგრამ მამის სურვილით ის სამეურნეო განათლების მიღებას დაეშურა, იალტაში წავიდა სასწავლებლად. სწავლების პროცესი არც თუ ისე კომფორტული იყო. გარემოების გამო მას ორჯერ მოუწია ქართული ენის გადავიწყებამ ისე, რომ საყველპურო ქართულიც ძლივსღა მახსოვდაო, ამბობს. გაქართულეროვნება მისი აზროვნებისა დაემთხვა წინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნას, სადაც ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა საფუძვლიანად ქართულ ენას. 1899 წელს უმცროსი დის გატაცების მიზნით მის ოჯახს თავს დაეხსნენ. დედა ყოჩაღი ქალი იყო, ამიტომ ვერ აღასრულეს ჩაფიქრებული, თუმცა დედა-შვილი დახოცეს. სასაკლაოს შინ არმყოფი ოჯახის უფროსი - მამა დაუბრუნდა. მან დაკრძალა ისინი და მათ სახელზე ააგო სოფელში ეკლესია. თუმცა ამ ამბის შეტყობინება არ ისურვა მამამ შვილისთვის. მალევე მეგობრისთვის გაგზავნილი ამანათიდან მიხეილმა შეიტყო ეს ტრაგედია. დაუბრუნდა თავის ფუძეს, შეიცვალა მთლიანად მისი ცხოვრება. ერთ წელიწადში მიხეილს მამაც გარდაეცვალა. მან ვერ დაასრულა სწავლა. უფრო ადრე კი მას მხატვრობა სურდა. შემდეგ კი თბილისში დაფუძნდა და ჟურნალისტურ საქმიანობას შეუდგა. ნიჭიერი შემოქმედის ნაღვაწში უკვალოდ არ დაკარგულა არც ტრაგედიები და არც ბედნიერება. შემოქმედება („ჯაყოს ხიზნებში“, „ქალის ტვირთში“) წინა პლანზეა წამოწეული ქალის როლი, ქალი ძალადობის ტყვეობაში. რაც შეეხება ჟურნალისტიკას, პოლიტიკა ძალიან აინტერესებდა, ერთ-ერთ პარტიაში კიდეც საქმიანობდა, მისი ჟურნალისტური მემკვიდრეობა ერთ-ერთი საუკეთესო პროდუქციაა იმ დროინდელ ქართულ ჟურნალისტიკაში. მათი საშუალებით შეიძლება ისწავლო წერა კონკრეტულ თემაზე, სფეროზე. ევროპულ პროცესებზე, სოციალურ საკითხებზე. მოგვიანებით კი, როცა რეჟიმი დამყარდა სამშობლოში, კრიტიკულ კალამს აამუშავებს მხატვრული სახეების მეშვეობით. ბოლშევიზმისა და საბჭოთა იდეოლოგიის კრიტიკაა მუდმივად მისი რომანების ფონი. როგორც ადამიანის, მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნების შეფასება მნიშვნელოვანია. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ოჯახის ნათელ-მირონი გახლდათ გრიგოლ რობაქიძე. რუსუდან ჯავახიშვილის - მწერლის უმცროსი ქალიშვილის ნათლია. მისი საუკეთესო ახლობლები და მეგობრები იყვნენ გერონტი ქიქოძე, იოსებ იმედაშვილი და ის ქართველი მწერლები, რომლებიც იზიარებდნენ ამ მძიმე დროის ჭაპანს. ოჯახში იყო ძალიან მოწესრიგებიული და აკურატული პიროვნება. მის ჩვევებს და ყოფას აღწერს დეტალურად ქალიშვილი - ქეთევან ჯავახიშვილი. ქალიშვილების წიგნებს მამაზე გასდევს დიდი მადლიერება, როგორც რეპრესირებულ ოჯახს, ყურადღებასა და ერთგულებას არ აკლებდნენ, თუმცა ეს მაშინდელ დროში დიდ საფრთხეს შეიცავდა. როდესაც მამის მემკვიდრეობას უმოწყალოდ ანადგურებდნენ, ჩხრეკის დროს მის ბინაში შეჭრილი ჩეკისტები, ქეთევანი - შვილი დაჰკვირვებია და მადლიერებას გამოხატავს წიგნში უკრაინელი ჩეკისტის მიმართ. მალულად მან გადაარჩინინა მწერლის ხელნაწერები, ნივთები, ტანსაცმელი. საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება მწერლისადმი ყოველთვის გამადიდებელი ლუპით იყო შესამჩნევი, რადგან დიდი ხანი აკვირდებოდნენ მას. მისგან ელოდნენ და სურდათ, რომ მიეღოთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც შექებული იქნებოდა საბჭოთა მმართველობა. საბოლოოდ დარწმუნდნენ 1935-36 წლებში, რომ ის როგორც მწერალი „არ გამოსწორდა“, ბოლო ნაწარმოებშიც კი არ ასახა ჰიმნი რეჟიმისადმი. ბერიასთან საკმაოდ რთული ურთიერთობით გამოირჩეოდა. ის ვერასდროს ვერ უკმევდა გუნდრუკს ლავრენტი ბერიას. აკი სიტყვა-სიტყვით მიუტანეს მწერლის ფრაზა ბერიას: ჩეკისტი და ჯალათი დაასვეს ქართულ საზოგადოებას თავზეო. დაკითხვის დროს ჯალათებისგან ნაწამები მწერალი დაეცა იატაკზე. ესწრებოდა ამ სცენას ბერია და ქობულოვი. კმაყოფილი დარჩენილა ბერია, რადგან სუსტი აღნაგობის მწერალმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა მწამებლებს. დასძახა თავზე: ჩეკისტი თავზეც გადგას და გულზეც მძიმე ჩექმითო. მოგეხსენებათ, ტოტალიტარულ გარემოში დასმენის უჩვეულო ქსელი იყო გაბმული. ცნობილი ისტორიაა, როცა საბჭოთა რეჟიმმა ძალიან მოიწადინა დაენგრიათ მეტეხის ტაძარი. მწერლის ჩათვლით დელეგაციას ბერიასთან გაუბედავთ თხოვნით მისვლა და უხსნიდნენ ამ ტაძრის დანგრევის დაუშვებლობას. ეს უზომო გამბედაობას ნიშნავდა. განსაკუთრებით გაბრაზებულა ლავრენტი ბატონი.



რომანში „ქალის ტვირთი“ მთავარ გმირს, რომლის პროტოტიპი თავად სტალინი გახლდათ, მ. ჯავახიშვილმა მას უჯიათი და ჯუღა უწოდა. მიაჩუმათეს ეს ნაწარმოები, ვითომც, როგორც სუსტი რომანი. არაკომფორტული ტექსტი იყო მმართველი ელიტისთვის. მწერლის უბის წიგნაკის ჩანაწერებს თუ გადახედავთ, ის სავსეა კრიტიკული წერილებით, მაგალითად, ერთგან წერს: „ბოლშევიზმი უზადო და უმწიკვლო სახეა რუსი ერისაო, მისი დედაც არის, მამაც, მშობელიც. ორივე ერთია, განუყრელია. კმარა დამთავრდეს ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ერი სხვა არის და ბოლშევიზმი სხვაო“. რამდენჯერმე გაიყვანეს დასახვრეტად. 1937 წელს კი აღასრულეს... ისევ სულგაყიდული ქართველების თაოსნობით. **„მე უდანაშაულო ვარ! ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის. მაგრამ, რადგან ზვარაკია საჭირო, მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო, თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს წაშლით, რაც დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს ვერასოდეს აღმოფხვრით“** - ამბობს ის მოთხრობაში „ყბაჩამ დაიგვიანა“. დღეს რომ მიხეილ ჯავახიშვილი გვყავდეს, ნეტავ, რას დაწერდა?..

„დღეს ჩემი ქვეყანა ჰგავს პატარა საგიჟეს, რომელსაც ექიმი ესაჭიროება, მაგრამ ამ ექიმებს თვითონ ესაჭიროებათ ექიმი და აღარ ვიცი, რა ვუშველო ჩემს საბრალო ხალხს“ - **მიხეილ ჯავახიშვილი.**

**მონიკა ქანტურია**

# ვულოცავთ!



მრავალჟამიერ!
23 მაისს **ელგუჯა გიორგის ძე ორჯონიკიძეს** 85 წელი შეუსრულდა.
ცნობილი მოთხილამურის, რომელსაც სპორტი არ მიუტოვებია და დღესაც ხანდაზმულობის მიუხედავად წარმატებით ასპარეზობს ვეტერანთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.
ბატონი ელგუჯა გამორჩეული პიროვნებაა, როგორც ახლობლებში, ისე მეგობრებშიც. კარგი ოჯახის პატრონი, ღირსეული შვილების მამა და ბაბუაა. ბატონ ელგუჯას გამორჩეულად უყვარს ბორჯომის ხეობა და ბორჯომელები.
ძვირფასო ელგუჯა გიორგის ძევ! ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ.

**თენგიზ ქავთარაძე**

ბორჯომის №3 საჯარო სკოლის XII[3] კლასის მოსწავლეებო, გილოცავთ სკოლის დამთავრებას. ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატებები ყოფილიყოს თქვენი მუდმივი თანამგზავრი მომავალი ცხოვრების გზაზე.
გისურვებთ ულევ სიხარულს.

**თქვენი პირველი მასწავლებელი.**

# კობას იუბილე საზეიმოდ აღინიშნა



19 მაისს ლეგენდარული ქართველი სპორტსმენი, **კობა წაქაძე** 88 წლის გახდა.
დაბადების დღესთან დაკავშირებით „მფრინავმა ტორპედომ" სტუმრებს თავისივე სახელობის სახლ-მუზეუმში უმასპინძლა.
სპორტსმენმა სახლ-მუზეუმში განთავსებული ჯილდოების შესახებ ისაუბრა და სპორტული კარიერიდან ისტორიები გაიხსენა.
ლეგენდარტული სპორტსმენის დაბადების 88 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო შეხვედრა ბაკურიანის კინოსაკონცერტო დარბაზში გაგრძელდა.
იუბილარისადმი მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი, შესანიშნავი და მეტად შინაარსიანი ღონისძიების ორგანიზატორი ქალბატონი **ეკა ორჯონიკიძე**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ალექსანდრე კოპალიანი**, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აპარატის უფროსი **ედიშერ მაჩაიძე**, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი **ვალერიან ლომიძე**, ჟურნალისტი **სოფიკო ხეთაგაშვილი**, ბაკურიანის საზოგადოების წარმომადგენლები **ეთერ ქიმერიძე** და **თამარ მიქაბერიძე**, ტრამპლინიდან მხტომელი **ესმა გობოზოვა**, კობა წაქაძის ოჯახის წევრები. სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა სახელოვანმა სპორტსმენმა **კობა წაქაძემ**.
საზეიმო შეხვედრა დაამშვენა ანსამბლების „სამეფოს" და „ოქტავას" მაღალ დონეზე შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვებმა.
სახელოვანი სპორტმენის კობა წაქაძის ზეიმმა ერთხელ კიდევ ცხადყო ღირსეული მამულიშვილისადმი გამოხატული უაღრესად დიდი სითბო და სიყვარული.

# მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის გადაწყვეტილებით, მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან.**
მოსწავლეებში ანალიტიკური, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, ჭადრაკი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სავალდებულო საგნად ემატება.
სავალდებულო საგნად ჭადრაკის შესწავლა 2022-2023 წლის სექტემბრიდან იგეგმება, მანამდე კი ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობით აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, მასწავლებლების ტრენინგების ორგანიზებისა და სასწავლო რესურსების მომზადების კუთხით.
ჭადრაკი აუმჯობესებს მოსწავლეთა მრავალმხრივ უნარებს, როგორებიცაა: ყურადღება, კონცენტრირება, მეხსიერება, ანალიზი, ლოგიკა, გადაწყვეტილების მიღება, სივრცეში ორიენტირება და სხვა. ეს კი, პირდაპირ კავშირშია მათემატიკისა და სხვა საგნების სტანდარტებით განსაზღვრულ კომპეტენციებთან.
აღსანიშნავია, რომ სკოლებში ჭადრაკის სწავლება გათვალისწინებულია ევროკავშირის 2012 წლის დეკლარაციით, რომელიც საგანმანათლებლო სისტემებში ჭადრაკის სწავლების დანერგვას ითვალისწინებს.

# საქმით სამშობლოსათვის



**რვა წლის** ასაკში დედის სურვილით მიიყვანეს სამუსიკო სკოლაში. აბსოლიტური სმენა აღმოაჩნდა და მოსმენაზე, გაცნობისას მოეწონა პედაგოგს.
12 წლის ბიჭი **ოთარ ოთარაშვილი** სიამაყით საუბრობს პედაგოგზე, ნამდვილად დასაფასებელია:ქალბატონი **მარინა რატიანი** ჩემთვის არის ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი მთელ საქართველოში. ძალიან მიყვარს და ძალიან ღირსეული ქალბატონია და მინდა, რომ გავუხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი მუსიკალური სკოლის წინ და დააჯილდოვონ ღირსების ორდენით. მე ასე ვხედავ მის მომავალს, ის ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებს, იმდენად ზრუნავს თავის მოსწავლეებზე.
არ შემიძლია არ დავეთანხმო ამ პატარა მოაზროვნის შეფასებას. სულ რაღაც, ერთი კვირის წინ „გრანპრით" დაჯილდოვდა კონკურსში: **„იპოვე შენი ვარსკვლავი"**. დღის განმავლობაში 2-3 საათი მეცადინეობს ფორტეპიანოსთან. ძირითადად უსმენს კლასიკურ მუსიკას. ხიბლავს ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები, რომლებზეც გვითხრა, რომ განსაკუთრებით მელოდიურია, ლამაზია. იზიდავს ჩქარი ნაწარმოებების შესრულება. მისი მიზანია 10-20 წლის შემდეგ ინგლისში წასვლა როგორც სამოგზაუროდ, ისე სამუშაოდ. როცა პოპულარობას მოიხვეჭს, მაშინ განზრახული აქვს გაჭირვებულებს დაეხმაროს საკუთარი შემოსავალით. ნახეთ, როგორი დიდი ადამიანი გვესაუბრება და არა 12 წლის ყმაწვილი: **„მინდა გამოვადგე ჩემი საქმით მშობლიურ ქვეყანას. სამუსიკო კარიერასთან ერთად, მინდა დიპლომატი გამოვიდე. ეს არაა ადვილი, მაგრამ ყველანაირად მინდა სამშობლოს დავჭირდე! იქნებ, წარმატებული ფიზიკოსიც გავხდე!"**.
ჩემ კითხვაზე, თუ უცდია საკუთარი მუსიკის დაწერა, აქაც გამაოცა მისმა პასუხმა:
**– გაგიმხელთ, რომ ახლახანს მომაფიქრდა, ვცადე მუსიკის შექმნა, თუმცა ჯერ არ იცის ჩემმა პედაგოგმა. ნაწარმოები ჯერჯერობით უსათაუროა.**
როცა ჰორიზონტზე მოზარდებს უსმენ, გულში გემატება დიდი იმედის გრძნობა, რომ ნიჭიერება თავისთვის, ჩუმად თავისი გზით მიდის. ბევრი წარმატება **ოთო ოთარაშვილს,** ულევი შემოქმედებითი კონცერტი მას მომავლის გზაზე!

**მონიკა ქანტურია**

# სილამაზის კონკურსი დვირის სკოლაში



**ნათია კევლიშვილი** დვირის საჯარო სკოლაში ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ასწავლის, თუმცა საკუთარი საგნის გარდა, მისთვის ერთ-ერთი განტვირთვის საუკეთესო საშუალება შემოქმედებითი სახის ღონისძიებების ჩატარებაა, რაშიც ცდილობს, რომ უფროს კლასელებთან ერთად აქტიურად ჩართოს დაწყებითი კლასის მოსწავლეებიც. პანდემიამდე სკოლაში სხვადასხვა სახის გასართობი თუ შემოქმედებითი სახის ღონისძიებები ხშირად ტარდებოდა, რომელიც სხვადასხვა აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. ტარდებოდა ინგლისურენოვანი სპექტაკლები, ჩრდილების თეატრი და სხვა. თუმცა, ბოლო წლების მანძილზე არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, სკოლაში შემოქმედებითი საქმიანობა შეფერხდა. თუმცა, დღეს უკვე, როდესაც რეგულაციები მოიხსნა და პანდემია თითქმის დასასრულს მიუახლოვდა, დვირის საჯარო სკოლაც დაუბრუნდა ჩვეულ რიტმს. სწორედ პანდემიის შემდგომ ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას მიეძღვნა სილამაზის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას 8 წყვილი იღებდა. მონაწილეები IX, X, XI კლასის მოსწავლეები გახლდნენ. მათ სამი ძირითადი კატეგორია წარმოადგინეს.
**I გახლდათ ქართული ნაციონალური სამოსით წარდგენა;**
**II–განქსტერები;**
**III–ზღაპრის პერსონაჟები – ეწ. საცეკვაო ბალი.**
უფროსკლასელებთან ერთად ღონისძიება II და V კლასის მოსწავლეებმა სასიმღერო და საცეკვაო ნომრებით გაალამაზეს. სილამაზის კონკურსს პედაგოგებისაგან შემდგარი ჟიური აფასებდა. მნიშვნელოვანია, რომ რვავე წყვილისთვის გადანაწილდა ნომინაციები. ნომინაციებში გამარჯვებულები გახლდნენ: ჟიურის რჩეული – **მარიამ სამსონიძე, დანიელ პაპიძე,** მაყურებლის რჩეული – **თიკო კავსაძე, ნიკა მამულაშვილი,** კონკურსანტთა რჩეული – **გიორგი ლომსაძე, ხატია ხუციშვილი,** ყველაზე მოქნილი წყვილი – **ანანო ნათენაძე, დავით ხრიკაძე,** ყველაზე ელეგანტური წყვილი **–ნიკა გელაშვილი, ლიდა კევლიშვილი,** შესაფერისი წყვილი – **ანამარია მამულაშვილი, ლუკა კევლიშვილი,** ყველაზე მოხდენილი წყვილი – **ნუცა ხუციშვილი, გიორგი მამულაშვილი,** ყველაზე აქტიური წყვილი – **ნია ხუციშვილი, ლუკა ლომსაძე.**
კონკურსში მონაწილე თითოეულ წყვილს სამახსოვროდ სიგელები გადაეცათ. ასევე სიგელებით წახალისდნენ კონკურსანტთა დამხმარე პატარა მონაწილეებიც, რომელთა უმრავლესობისთვისაც, აღნიშნული ღონისძიება ერთგვარი დებიუტი გახლდათ. წარმატებები ნიჭიერ პედაგოგსა და მის მოსწავლეებს.

**ნატო მელიქიძე**

# გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ



**ბორჯომში, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს შორის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის ბორჯომელი მოჭიდავის, რევაზ ლაშხის სახელობის ტურნირი პირველად გაიმართა.**
ტურნირი ბორჯომის ა(ა)იპ სასპორტო სკოლის მიერ იყო ორგანიზებული. მასში 2007-2009 და 2010-2012 წლამდე დაბადებულმა 400-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ოცდახუთ წონით კატეგორიაში ერთმანეთს ოცდაორი ქალაქის ოცდაათი გუნდის წევრები ეჯიბრებოდნენ.
გამარჯვებული სპორტსმენები ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლოზ კიკნაძემ,** სასპორტო სკოლის ხელმძღვანელმა **ელიზბარ სტეფნაძემ** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებმა მედლებით, სიგელებითა და თასით დააჯილდოვეს.

# სკვერების მოწყობის მიზნით ტენდერი გამოცხადდა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიამ სკვერების მოწყობის მიზნით ტენდერი გამოაცხადა.
რუსთაველის ქუჩის №51 დან №53 მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წინ სკვერი მოეწყობა.
პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე მოეწყობა ქვაფენილი და ბორდიური. განთავსდება სკამები და ნაგვის ურნები. დამონტაჟდება დეკორატიული ლამპიონები და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები.
სკვერის მოსაწყობად 53 123 ლარი დაიხარჯება.

# ინტელექტუალურ კონკურსში გამარჯვებული



**ტიტული** ბორჯომის №4 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე **გიორგი ბერიძემ** მოიპოვა.
ვულოცავთ გიორგის, ბორჯომის №4 საჯარო სკოლას, მუნიციპალიტეტსა და სასკოლო საზოგადოებას ამ წარმატებას!
ინტელექტუალური კონკურსი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახლგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა.
შეგახსენებთ, რომ გიორგი მონაწილეობას მიიღებს დასკვნით ღონისძიებაში, რომელიც ასევე დისტანციურ რეჟიმში, ივლისში გაიმართება. ღონისძიებას პროექტის ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი გაუძღვება, მონაწილეები კი კონკურსში ვიდეოპლატფორმის საშუალებით მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებიდან ჩაერთვებიან. გამარჯვებული სამეული საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული სასაჩუქრე ვაუჩერებით დაჯილდოვდება.

**მონიკა ქანტურია**

**ნათელა იჩქიტიძე თანაუგრძნობს მარინა და კახა ლეკიაშვილებს – შვილის, ლევანის და ერეკლეს – ძმის და ბებიას დოდოს – შვილიშვილის ძვირფასი**
**ლუკას**
**ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.**

**ბორჯომის №1 საჯარო სკოლა თანაგრძნობას უცხადებს**
**ლუკა ლეკიაშვილის**
**ოჯახს, სკოლას, კლასელებსა და მეგობრებს.**

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა გერასიმე და ამავე ტაძრის მრავალრიცხოვანი მრევლი თანაუგრძნობენ ნანა და თამაზ ხაჩიძეებს ძვირფასი სიძის**
**გია ჩაფიჩაძის**
**გარდაცვალების გამო.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru